

შპს კარგონი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. ძირითადი საშუალებები	11
7. არამატერიალური აქტივები.....	11
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-2024	31-12-23	31-12-22	31-12-21
მოკლევადიანი აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	4	218,697	83,541	11,601	61,123
სავაჭრო მოთხოვნები	5	3,627,431	1,495,831	763,797	311,430
გადახდილი ავანსები		-	-	8,336	8,336
სხვა მიმდინარე აქტივები		5,197	7,201	113,137	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,851,325	1,586,573	896,871	380,889
გრძელევადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6	112,923	133,376	34,089	33,678
სხვა აქტივები		252,612	134,470	-	-
არამატერიალური აქტივები	7	395,803	2,003	18,395	50,314
სულ გრძელევადიანი აქტივები		761,338	269,849	52,484	83,992
სულ აქტივები		4,612,663	1,856,422	949,355	464,881
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	8	2,174,625	1,711,318	773,851	176,068
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		510,303	-	-	-
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		120,641	34,131	15,636	12,144
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,805,569	1,745,449	789,487	188,212
გრძელევადიანი ვალდებულებები					
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	2,588,020	892,590	150,000	-
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		2,588,020	892,590	150,000	-
სულ ვალდებულებები		5,393,589	2,638,039	939,487	188,212
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		2,871,168	721,878	795,788	732,697
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		285,535	285,535		
(აკუმულირებული ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება		(3,937,629)	(1,789,030)	(785,920)	(456,028)
სულ საკუთარი კაპიტალი		(780,926)	(781,617)	9,868	276,669
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,612,663	1,856,422	949,355	464,881

დირექტორი



ვანო ჩალაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	10	29,816,472	19,055,343	9,800,442	3,504,102
მომსახურების თვითღირებულება	10	(28,380,544)	(17,359,845)	(9,417,372)	(3,345,181)
საერთო მოგება		1,435,928	1,695,498	383,070	158,921
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(742,923)	(558,584)	(233,927)	(602,148)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(2,220,906)	(1,361,413)	(650,338)	(346,437)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(40,015)	(17,928)	(13,026)	(7,767)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		(4,704)	(18,748)	(31,919)	(31,919)
სხვა შემოსავლები		-	-	306,641	113,402
სხვა ხარჯები		-	-	(28,995)	(51,604)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(1,572,620)	(261,175)	(268,494)	(767,552)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(608,598)	(417,729)	(61,398)	(10,846)
ზარალი დაბეგვრამდე		(2,181,218)	(678,904)	(329,892)	(778,398)
მოგების გადასახადი		(797)	-	-	-
წმინდა ზარალი		(2,182,015)	(678,904)	(329,892)	(778,398)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024	2023	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	(781,617)	9,868	276,669	987,744
წმინდა (ზარალი)/მოგება		(678,904)	(329,892)	(778,398)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	33,416	(324,206)	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	2,149,290	211,625	63,091	67,323
ნაშთი წლის ბოლოს	(780,926)	(781,617)	9,868	276,669

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024	2023	2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(10,372,878)	(4,135,314)	(549,357)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-	(7,889)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	10,570,799	4,390,814	(547,440)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	197,921	255,500	(9,806)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(62,765)	(183,560)	(39,716)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	83,541	11,601	61,123
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	218,697	83,541	11,601

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კარგონი დაფუძნდა 2016 წლის 07 ოქტომბერს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, თენგიზ აბულაძის ქუჩა #34, ბინა # 31. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405170292.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ 2023 წლის 31 ივლისამდე : 28.34% ვანო ჩალაძე (პ/ნ: 01005024538), 28.33% შალვა ჯალაბაძე (პ/ნ: 01011073765), 28.33% ნიკო ტურაბელიძე (პ/ნ: 60001159977), 10% ს.ს. დიჯიტალ არეა (ს/კ 402096227), 2.5% გიორგი წიკლაური (პ/ნ: 01017045962) და 2.5% ირაკლი კაპანაძე (პ/ნ: 01017045331). კომპანიის 100% წილის მფლობელი 2023 წლის 31 ივლისს გახდა Cargon Tech B.V. (ნიდერლანდები, ID: 865326939).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ვანო ჩალაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო და შიდა გადაზიდვების მომსახურების გაწევა.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის, 2023 წლის, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება ასევე თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.4 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია

შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს, გარდა დევლოპერტა გუნდისა, რომლებიც არამატერიალური აქტივის შექმნასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობენ.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის, 2023 წლის, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23	31-12-22	31-12-21
ნაღდი ფული სალაროში	763	342	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	56,287	38,108	2,026	27,301
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	161,647	45,090	9,575	33,822
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	218,697	83,541	11,601	61,123

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება საერთაშორისო და შიდა გადაზიდვების მომსახურების გაწევასთან. დებიტორების რაოდენობა 2024 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 72 პირს, 2023 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 85 პირს, 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 75 პირს, ხოლო 2021 წლის ბოლოსათვის 61 პირს.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ელექტრონული მოწყობილობა	13,778	2,823	16,601
თბოტექნიკური მოწყობილობა	550	169	719
კომპიუტერები	47,158	14,556	61,714
ოფისის კეთილმოწყობა	63,666	550	64,216
ავეჯი და სხვა ინვენტარი	49,118	1,466	50,584
სულ	174,270	19,564	193,834
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ელექტრონული მოწყობილობის ცვეთა	5,286	3,153	8,439
თბოტექნიკური მოწყობილობის ცვეთა	49	132	181
კომპიუტერების ცვეთა	16,190	11,008	27,198
ოფისის კეთილმოწყობის ცვეთა	1,058	12,734	13,792
ავეჯის და სხვა ინვენტარის ცვეთა	18,312	12,989	31,301
სულ	40,894	40,016	80,911

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებზე 2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია	159,595	-	159,595
Balance Enterprise	2,355	-	2,355
პლათმორმა ვებ-გვერდი, მობილური აპლიკაცია	-	390,000	390,000
Global Access - Premium -2024 Single User License for 1 Year	-	8,504	8,504
სულ	161,950	398,504	560,454
დაგროვილი ამორტიზაცია	დაგროვილი ამორტიზაცია, 1 იანვარი	ამორტიზაციის ხარჯი	დაგროვილი ამორტიზაცია, 31 დეკემბერი
ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაციის ამორტიზაცია	159,595		159,595
Balance Enterprise ამორტიზაცია	353	300	653
პლათმორმა ვებგვერდი, მობილური აპლიკაცია	-	-	-
Global Access - Premium -2024 Single User License for 1 Year	-	4,404	4,404
სულ	159,948	4,704	164,652

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები წარმომოხილია როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიებთან.

მათი ბალანსები 2024 წლის, 2023 წლის, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი პირები	382,062	406,301	334,373	98,248
არარეზიდენტი პირები	1,792,563	1,305,017	439,478	77,820
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2,174,625	1,711,318	773,851	176,068

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება გამოშვებული კორპორატიული ბონდების ღირებულებისგან, ასევე დირექტორისგან მიღებული სესხისგან.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების მომსახურების გაწევა.

2024, 2023, 2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული სერვისის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2024	2023	2022	2021
შემოსავალი	29,816,472	19,055,343	9,800,442	3,504,102
საერთაშორისო გადაზიდვები	25,385,845	18,571,226	9,568,063	3,353,229
შიდა გადაზიდვები	137,910	484,117	232,379	150,873
საერთაშორისო გადაზიდვა არარეზიდენტებთან	4,279,191			
გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი	13526			
მომსახურების თვითღირებულება	(28,380,544)	(17,359,845)	(9,417,372)	(3,345,181)
საერთო მოგება	1,435,928	1,695,498	383,070	158,921

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023	2022	2021
იჯარის ხარჯი	184,205	126,349	74,469	60,569
დაზღვევის ხარჯი	39,122	30,836	43,461	11,701
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	11,390	59,916	31,086	171,483
მარკეტინგის ხარჯი	27,155	7,676	16,420	7,615
საბანკო მომსახურების ხარჯი	61,131	49,750	15,760	4,621
არარეზიდენტის მომსახურება	7,244	17,923	14,983	6,761
ჰოლდინგის ხარჯი	105,169	130,653	-	-
კვლევა განვითარება	87,009	-	-	-
საოფისე ინვენტარის ხარჯი	522	3,911	10,856	4,501
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	109,869	26,882	10,024	22,225
კომუნალური ხარჯი	41,070	15,739	5,338	3,321
სატრანსპორტო ხარჯი	7,145	6,943	1,865	725
რემონტისა და შენახვის ხარჯი	14,100	1,912	1,500	-
საკანცელარიო ხარჯი	2,219	4,313	1,226	612
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2,298,476	75,781	6,939	308,014
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,995,826	558,584	233,927	602,148

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023	2022	2021
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	2,203,688	389,923	28,158	31,790
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	17,218	971,490	622,180	314,647
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	2,220,906	1,361,413	650,338	346,437

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 982364.00 ლარი, 2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 389,923 ლარი, 2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 28,158 ლარი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში კი 31,790 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.